


შაბათი, 30 მაის. № 44 — 1915

ფასი 10 კ.

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.-ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлис
Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвил

# გზა

შენ ყაყაჩოს წითელ წვენით მე ტუჩები შემიღებე,
და გაკვირდი, რომ შენს ალერსს მე დუმილით შევეგებე.
გახსოვს, მკითხე: „რად გაჩუმდი?“ და ბავშვურად შემომცინე?
მე უსიტყვო ჩემი ბაგე შენს ლოყაზე მივაძინე.

განვლო ჟამმა. ჩვენს სიყვარულს გაზაფხულმა უღალატა.
მარტო დავრჩით. შავმა ბედმა ტანჯვის ცრემლი მოგვიმატა.
შენა მკითხე: „მითხარ, ღმერთმა ასე რისთვის გაგვიმეტა?“
ჩემმა ბაგემ შენი ბაგე მაშინ კოცნით გამოჰკეტა.

დრომ იმედი დაგვიჩრდილა და ღრუბელმა ცა დაჰფარა,
დაგვეკარგა შუქი მზისა, გულში იჭვი შეგვეპარა.
შენ კვლავ მკითხე: „ცის ლურჯ კიდეს ვინ მოასხა შავი რიდე?“
მე პასუხი ვერ ვიპოვე და ალერსით დაგამშვიდე.

ჩვენ ვიბრძოდით. მაგრამ ბრძოლას აღარ უჩნდა დასასრული,
წინ ზღვასავით იხრჯოდა გზა, ცის საზღვარს გარდასული,
კვალად მკითხე: „სანამ ვივლით? სანამ ვივლით ტანჯვის გზაზე?“
მე დავჩუმდი... და პასუხი ვერ მოგეცი ამ კითხვაზე.

დადგა ჟამი. ღრუბლის გროვამ გაიარა ელვა-ქუხილით,
და ცხოვრებით მოქანცულნი სასაფლაოს მივადექით..
ვინ მოსულა აქ, ნეტავი, კმაყოფილი თავის ბედით?!.
მეგობარო! რად გაჩუმდი? რად არ მკითხავ სად მოვედით?..

ს. აბაშელი



სოფ. ზაქ. მგალობლიშვილი

(იხ. ამავე ნომერში წერილი 5 გვ.)

მორიგი მეთაური „როგორიც ბერი — ისეთი ერი“ ვერ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი რეალიზმი სახიობაში

(პშიბიშევსკის კრიტიკული წერილებიდან)

ძღვნად მსახ. ალ. ყალაბეგიშვილს

სასცენო ხელოვნება, ძველი სახიობა დღეს ღრმა კრიზისს განიცდის. ეგრედ წოდებული განახლებული სული ყველგან შეიჭრა და ძველი ღირებულებების შესაფერისად გადაფასებას შეუდგა. ტრადიციული სახიობა, ძველი ხელოვნება და ახალი რეალისტური, ერთი მეორეს ეჯახება, ერთი მეორეს ებრძვის და ჩვენთვის ცხადი ხდება შემდეგი მოვლენა: გარეგნული დრამა, რომელიც მხოლოდ დრამის ამა თუ იმ გმირის არა სულიერი განცდით გამოისახებოდა და გმირი დრამატიულ მდგომარეობამდის მიჰყავდა, მარცხდება. დღეს მის ადგილს იჭერს გმირის სულიერი მდგომარეობა მსახიობის ხელოვნებაშიაც უმთავრესად ეს სულიერი განცდის თანდათანობითი ზრდაა საყურადღებო.

პოლონელ დრამატურგ-კრიტიკოსის პშიბიშევსკის აზრით წინანდელი დრამა იბსენამდის, იყო გარეგნული დრამა. ის, რაც იწვევდა დრამატიულ კონფლიქტებს, ხდებოდა მხოლოდ გარეგნულად, და ეს იყო არა შინებრივი ძალა, რომელიც იწვევდა გმირის განსაზღვრულ მოქმედებას. დრამა ხდებოდა მხოლოდ გმირის გარშემო და მაყურებელი ვერ განიცდიდა, რა ხდებოდა თითონ მსახიობ-გმირის სულში. გარეგნული ფაქტორები აყენებდენ მსახიობს დრამატიულ მდგომარეობაში; ეს იყო მიზეზი, რომ მსახიობი მოექცეოდა ისეთ გარემოებაში, სადაც უაზროდ უნდა ექნია ხელები და ფეხები და ცრუ გაბერილ პოზით გაქცეულ-გამოქცეულიყო სცენაზე. ძველი დრამის მსახიობს ძალაუნებურად ძლიერი ხაზი უნდა გაესვა თავის დამოკიდებულებისა და გარეგნულ ფაქტორებს შორის. გარეგნულ ფაქტორებთან დამოკიდებულება იყო ძალიან ვიწრო და შეზღუდვილი. წინანდელ დრამაში მსახიობის უმთავრესი საზრუნავი შედარებით ადვილი იყო: ისეთ გრძნობებს, როგორიც არის სიყვარული, სიძულვილი, შურისძიება, აღშფოთება და სხვა,— რაც უფრო ხმა მაღლა გამოჰხატავდა ამ გრძნობებს, რაც უფრო აქეთ-იქით მიეხეთქებოდა სცენაზე, მით უფრო მეტივითა და დიდებით მიეგებებოდენ მას თანამედროვენი.

ახალი დრამა-კი სულ სხვა გვარად უცქერის ამ გარეგან ფაქტორებს. ახალი დრამის ყოველივე კვანძი დღეს უნდა განიცადოს თვით მსახიობ-გმირის სულმა, დრამის დასაწყისი და დასასრული თვით მსახიობის სულის ფსკერზეა; ამ განცდას და მსახიობის შემოქმედებითი ძალას ჩვენ, მაყურებლები უნდა განვიცდიდეთ მსახიობთან ერთად თან-და-თანობითი გზით. მსახიობი არ უნდა ამზადებდეს მაყურებელს, გამზადებულ მთელს არ უნდა წარმოადგენდეს, იგი თანდათან უნდა იზრდებოდეს მაყურებლის გონებაში და მარტივი, სადა თამაშით გვაახლოვებდეს სინამდვილეს. საბერძნეთის დრამის გმირი ღმერთების სათამაშო იყო. ახალი დრამის გმირი სათამაშოა საკუთარი ინსტინქტის, მსხვერპლია ბრძოლის, მსხვერპლია თავისი საკუთარი აშლილი სულის, საკუთარი გულის უხილავ ძალთა. საბერძნეთის დრამის გმირს შეეძლო სახეზე ნიღაბი აეფარებინა და დამშვიდებული ყოფილიყო; მაყურებელს არ ჰქონდა მასთან არავითარი საქმე, თუ რა ხდებოდა მის სულში. ხალხის ყურადღებას ელაპავდა მხოლოდ დრამა, რომელსაც ღმერთები ამზადებდენ გმირებისათვის.

თანამედროვე დრამა მსახიობს წინ უყენებს უფრო ღრმა მოთხოვნილებებს, ვინემ ეს წინეთ იყო. სცენა გარდაიქცა სისხლის ბრძოლის ადგილად, რომელიც ხდება ადამიანის სულში. სცენამ დაკარგა წინანდელი მნიშვნელობა; ის აღარ არის კათედრა, საიდამაც მსახიობი დეკლამაციას ჰკითხულობდა. ახალი სკოლის მსახიობისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი იყოს რეალური გამომხატველი თავის გრძნობათა და შთაბეჭდილებათა. ახალი რეალიზმი მსახიობისგან თხოულობს, რომ ამ უკანასკნელ თამაშის ყოველი წვრილმანობის ტეხნიკურად შემუშავებას გვერდი აუაროს. მსახიობისათვის სავალდებულო არ არის ნახოს საავადმყოფოში მომაკვდავი, იგი როგორ კვდება, რომ თითონაც ისე მოკვდეს რომელიმე როლის ასრულების დროს. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა მომაკვდავი ერთნაირად არა ლევს სულს, ერთნაირად არა კვდება. მაყურებლის თვალში მსახიობი მით უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო სადა, უბრალო, გულწრფელი და სი-

ნამდვილის აბსოლიუტურად გადმოცემისა. ახალმა მსახიობმა უნდა დაივიწყოს, რომ იგი სცენაზე არდგენს ამა თუ იმ ტიპს. თუ კი მსახიობი ჩასწვდება ავტორის აზრს, თუ კი ის დროებით დაივიწყებს თავის თავს, მაშინ მსახიობი განახორციელებს და სულს ჩაუდგამს იმ ტიპს, რომელიც უნდა გვიჩვენოს ავტორმა.

სტ. ზმიბიშევსკის შეხედულებით, ახალი თაობის მსახიობის აუცილებელ მოთხოვნილებას უნდა შეადგენდეს ინტელიგენტობა, სწორმხედველობის ნიჭი, გულწრფელობა და სინამდვილის უბრალოდ გადმოცემა. აი ის უცილობელი პირობები, ურომლისოდაც მსახიობი არაფერია. ახალმა მსახიობმა სულ უნდა გასწყვიტოს ძველ ტრადიციასთან, შეიარაღდეს იმ შეუდრეკელი სითამამით, რომელიც მინიჭებული აქვს ნამდვილ შემოქმედს, გაიკვლიოს ახალი გზა თავისთვისაც და სხვებისთვისაც.

რა გზით უნდა იაროს?

**ვერხვი**



† პოლ ერვიე

გამოჩენილი დრამატურგი, დრამატურგთა საზ-ის თავმჯდომარე, გარდაიცვალა პარიზში. ცნობილია პიესებით „ბრჭყალები" (ქართულად ნათარგმნია მაჭავარიანის მიერ), „გამოცანა", „მამაკაცის კანონი", „იცან თავი თვისი" და სხვ.

# სვანის ქალი გუქა

— მაშ მიღალატა? წამოიძახა მშვენიერმა გუქამ თავისთვის და ისე ძლიერ ამოიხვნეშა, თითქოს გულის ბოლმა მთლად ამოატანაო. იგი დაეყრდნო ტახტს და ქვითინი მორთო.

მას უცებ მოესმა ძაღლის გაცხარებული ყეფა, გაიხედა გარეთ და დაინახა ერთი ახალგაზდა ცხენოსანი, რომელიც მივიდა იქვე კალოში მჯდომ გუქას მამა ბექმურზასთან.

ბექმურზა მიეგება მას, სალამი მისცა, ცხენი ჩამოართვა და იქვე ღობეს მიაბა. ისინი ცოტახანს რაღაცაზე ლაპარაკობდენ. ლაპარაკის დროს ბექმურზა თანდათან ილუშებოდა და ხშირ-ხშირად მრისხანედ იყურებოდა სახლისკენ. გუქა ამას ატყობდა მამას და, თითქოს ტანმა უაზრაო, შიშისგან ცახცახებდა.

პატარახნის შემდეგ მგზავრი გამოემშვიდობა ბექმურზას და, როდესაც გზას გაუდგა, ბექმურზამ მიაძახა:

— გადაეცი ისლამს, რომ შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს მიიღებს...

მხოლოდ ეს უკანასკნელი სიტყვები გაარჩია გუქამ და ელდა ეცა. ეხლა-კი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე; ცოცხალ-მკვდარი შებრუნდა შინ და ტახტის წინ მუხლით მოიკეცა. ბექმურზა გაბრაზებული შევიდა სახლში და თვალების საშინელი ბრიალით შესძახა:

— ოჰ, შე უღირსო შვილო, გარყვნილო, ჩემი ჯალაბის შემარცხვენელო!.. დაე, შენმა ბიწიერმა სისხლმა ზღოს ყოველივე.—ამ სიტყვებით მივარდა გუქას ხანჯალ-ამოღებული ბექმურზა და ის იყო შუაზე უნდა გაეკვეთა, რომ ამ დროს შემოსულმა ცოლმა მიასწრო და ხელში სწვდა. გუქა კივილით შევარდა დარბაზში. ბექმურზა, დორბლ-მორეული, ყვირილით მიიწევდა დარბაზისკენ, მაგრამ მას ყელზე ჩამოეკიდა თვისი ცოლი და ტირილით შესთხოვდა, დამშვიდებულიყო.

— როგორ დავმშვიდდე? მაგ საზიზღარმა ყელი გამომჭრა: თურმე ისლამი ჰყვარებია!.. ისლამმა კაცი გამომიგზავნა, მე სხვაზე ვიწერ ჯვარს და შენს ქალიშვილს ვინც უნდოდეს, წაჰყვესო... ოხ! როგორ შევრცხი, ამ სიბერის ჟამს, ღმერთო ჩემო, როგორ!..

ყვიროდა ბექმურზა.

—

მართლაც ისლამს და გუქას თითქმის წელიწადია ერთმანეთი უყვარდათ და ურთიერთისთვის ცოლქმრობის პირობაც ჰქონდათ მიცემული. ბოლოს ვაჟმა სხვა შეიყვარა და გუქას ყოველივე გაუმჟღავნა. ახალგაზდა ქალის გული შურისძიებით აღივსო, მაგრამ ჯერ კიდევ არა სჯეროდა, თუ ისლამი სამუდამოდ მიატოვებდა. ხოლო ეხლა, როდესაც გადაწყვეტით გაიგო მამისაგან თვით ისლამის გამოგზავნილი მოციქულის სიტყვები, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებული, ერთის საშინელის აზრით ალჭურვილი შევარდა კოშკში და კარი ჩაიკეტა.

გუქას დედამ ქმარს თავი დაანება, მივიდა კოშკის კარებთან და ტირილით ემუდარებოდა ქალს გაეღო კარი, მაგრამ გუქა პასუხსაც არ აძლევდა და მხოლოდ ლოგინზე დამხობილი ქვითინებდა...

დაღამდა. სოფლელები გაიფანტენ თავთავიანთ სახლებში, მხოლოდ გუქას დედა ისევ კოშკის კარებთან იჯდა და ტირილით კარებს თავს ახლიდა. შუაღამისას, ტირილისაგან დაღლილი დედა კედელს მიეყრდნო და ჩაეძინა. ამას ელოდა გუქაც, რომელიც სულ-განაბული ყურს უგდებდა დედის მოძრაობას და გულის ფანცქალით მოელოდა, დიჯა კარს როდის მოსცილდებოდა... სულ ნელა გააღო კარები და, როგორც მქრალი სიო, ჩუმად გამოსცილდა კარებს. დააცქერდა მძინარ დედას და თვალთაგან ცრემლები გადმოსცვინდა. იგი ვაჟურად გამოწყობილიყო და თოფ-იარაღით შემოსილი, ფეხ-აკრეფით გაეშურა სოფლის გარეთ, სადაც ერთს ულრან ტყეში მიიმალა.

—

გავიდა სამი კვირა, მაგრამ გუქას ასავალ-დასავალი ვერა გაიგეს-რა; სოფელში მრავალი ჭორი დადიოდა მის შესახებ. ზოგი ამბობდა: გუქა ეშმაკებს გადაყვა და ტყეში ქაჯებთან ცხოვრობსო, ზოგიც ამტკიცებდა— მხეცებმა შესჭამესო. ორი კვირის განმავლობაში მთელი სოფელი ტყე-ველს იყო მოდებული, შეიძლება ან ცოცხალი ან მკვდარი ვიპოვოთ სადმეო, მაგრამ ვერა გაიგეს-რა. საცოდავი დედა ჯავრისაგან ლოგინში ჩავარდა და თანდათან სიკვდილს უახლოვდებოდა.

ისლამმა-კი თავისი არ დაიშალა და მეორე სატრფოზე დაიწერა ჯვარი, რაც ძლიერ ეწყინათ გუქას მოგვარეებს და, სვანის ჩვეულებისამებრ, ყოველ მარჯვე შემთხვევაში მზად იყვენ სასტიკად ეძიათ შური და ისლამისაგან მოცხებული ჩირქი სისხლის ღვრით მოერეცხნათ.

—

მყუდრო ღამე იყო. ცაზე თუმცა მთვარე არ სჩანდა, მაგრამ ვარსკვლავთა სიმრავლე მშვენიერ ფერსა სდებდა ცის კაბადონს. მყუდროობას ხანდახან არღვევდა მხოლოდ ჭოტის შემზარავი გამოძახილი, რაც მთელ არე-მარეს რაღაც იდუმალ შიშის ჟრუანტელსა ჰგვრიდა. სოფელშიც დიდი ხანია, შესწყდა ხმაურობა, შრომით დაქანცული ხალხი უკვე შუა ძილშია. გარეთ არვინ სჩანს, მარტო ერთ სახლის ახლოს ჩუმად ტრიალებს ვიღაც იარაღში ჩამჯდარი ახალგაზდა და იქაურობას ათვალთვალებს. ძაღლებმა შეუტიეს, მაგრამ მან ამ შემთხვევისთვის განგებ მოტანილი პური გადაუყარა მყეფართ და მით დააშოშმინა იგი, შემდეგ ავიდა კიბით დერეფანზე და სარკმელიდან ჩაიხედა ოთახში, სადაც კვარი ოდნავ ანათებდა. ლოგინზე იწვნენ ახლად ჯვარ-დაწერილნი ისლამი და ამისი ცოლი. იგინი ეალერსებოდენ ერთმანეთს... ყოველი მათი მოძრაობა გულში ლახვარივით ესობოდა ახალგაზდას, რომელიც სარკმელიდან დაჰყურებდა.

ცოლქმარს ჩაეძინათ. უცნობი ყმაწვილი მივიდა კარებთან. ჩუმად გააღო კარი ხანჯლის წვერით და ფეხ-აკრებით შევიდა ოთახში.

ახალგაზდა ცოლქმარს მკლავები ერთმანეთისთვის შემოეხვიათ და ნეტარებით ეძინათ; თვით ძილშიც თითქოს ერთმანეთს ეალერსებოდენ და ხვევნა-კოცნით სტკბებოდენ. უცნობი მივიდა ლოგინთან და მათს ნეტარ წუთებს დააჩერდა. უცებ სისხლი თავში აუვარდა, ველარ შეიკავა თავი, მოიქნია ხანჯალი და ტარამდე ჩაასო ისლამს გულში. ისლამმა ფართხალი დაიწყო. ამ დროს გამოეღვიძა ცოლს, რომელსაც ცხვირ-პირში მიესხა ქმრის სისხლი. მან დახედა ქმარს და რა დაინახა გულში ხანჯალ-გაყრილი, საშინლად დაიკივლა, ამოაძრო ხანჯალი გულიდან, გაექანა მის წინ მდგომ უცნობისაკენ და ის იყო უნდა ჩაეკრა გულში, მაგრამ მან გაუკავა ხელი, გამოსტაცა ხანჯალი და ზიზღით შესძახა:

— განა არ იცი, შე საძაგელო, რომ როგორც მე მიღალატა, ისე შენც გიღალატებდა? მე გახლავარ მაგისაგან გაუბედურებული გუქა...

სთქვა ეს, გამოვარდა გარეთ და ღამის წყვდიადში მიიმალა ..

**ამ. პირველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საზოგადო მოღვაწენი

## გლეხთა მესაიდუმლე

### სოფრომ ზაქ. მგალობლიშვილი



ს. ზ. მგალობლიშვილი. მწერლობს 1872 წლიდან

გსურთ ჩაიხედოთ ჩვენი .გლეხის ცხოვრება'ში, წარმოიდგინოთ რა ლამაზი სულის პატრონი იყო იგი, დღეს უსამართლობისა და უცხო გავლენისაგან ფეხქვეშ გაქელილი, ?!. გსურთ თვალი გადაავლოთ წარსულს, დასტკბეთ მოგონებანით, გაითვალისწინოთ ჩვენებურ ხალხოსანთა სულის კვეთება, იგემოთ ქართული სამოთხრობო ენის შვენიერება; გაიგოთ პრაქტიკულად როგორ მოღვაწეობდენ ჩვენი მამანი და როგორი უნდა იყოს ნამდვილი მასწავლებელი?—მაშ გაიცანით ს. მგალობლიშვილი და მისი შემოქმედება.

მაგრამ რა გზით?

მწერლის სულის სარკე რომ მისივე შემოქმედებაა, ეს ვინ არ იცის? და სამწუხაროდ ჩვენი 70—90 წ.წ. მწერალთა ნაწერების მსგავსად, სოფ. მგალობლიშვილის ეს სულის სარკეც—ნაწერები—ქართულ ჟურნალ-გაზეთებშია ჩასახული, და იმდენად დაქსაქსული, იმდენად მრავალ ფერი, რომ შესაძლოა თვით მხცოვან მწერალსაც არ ახსოვდეს, რა დაუწერნია და სადაა მოთავსებული; ხოლო ჩვენი დროის გამომცემელნი-კი სულაც არ ფიქრობენ ტომებად გამოსცენ მგალობლიშვილისა და მისი კბილის მწერალთა—ვ. ბარნოვის, ნ. ლომოურის, მელანიას და სხ. თხზულებანი, რომელნიც უტყუვრად გვიხურათებენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ჩვენს თაობას ბევრს რასმეს ასწავლიან და განმცორებას თავიდან აგვაცილებენ...

ჩვენი მხცოვანი მწერალი 43 წ-ია დაუცხრომლად ემსახურება სამშობლო მწერლობასა და საზოგადოებრივ წინსვლას. მის ნაწერთა განხილვა-შეფასება სხვა დროისთვის გადავსდოთ, ხოლო ამ ჟამად ერთის თვალის გადავლებით გავიცნოთ, ვინ არის იგი?

ს. მ—ის წინაპარნი მესხეთლები ყოფილან, ბალაძენი, პირველად გურიაში გაწვეულნი მთავრის გურიელის მიერ, სადაც მგალობლებად იყვნენ (აქედან მიიღეს გვარი მგალობლიშვილი და აზნაურობაც), შემდეგ 18-ე საუკ. ქართლს ჩამოსახლებულნი. სოფრომი დაიბ. ს დირბში, გორის მაზ. ფრონის ხეობაზე, 1851 წ. 20 ივლ. მამა მი'ი ზაქარია მღვდელი იყო, ოსეთის მისიონერი, თავის დროის კვალობაზე გაგებული კაცი, დედა—მარ-ამი გორიჯვრის მღვდლის ქალი, სალმრთო წერილით აღზრდილი. პატარა სოფრომს სახლში დააწყებინეს სწავლა (ხარის ბეჭზე აწერინებდენ), სახლშივე ისმენდა „ვეფ. ტყ.“, „სიბრძნე-სიცრუის“ წანაკითხსა და ფსალმუნებს. 9 წ. გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. ამ ხანებში მამა გარდაეცვალა და უსახსროდ დარჩენილი პაპამ შეივრდომა, შემდეგ დეიდამ. როგორც იქნა, გორში სწავლა დაამთავრა; ამ დროს ფეხი მოიტეხა, მაგრამ ამ უბედურებამ ვერ შეაკრთო, ჯოხზე დაყრდნობილი, თბილსს ჩამოვიდა, სასულ. სემინარიაში შევიდა დიდის მეცადინეობით, მალე ქართველ მწერალთ გაეცნო, დაუახლოვდა „მნათობის“ რედაქციას, პ. უმიკაშვილის „სასოფლო გაზეთს“, რომელშიაც სამეცნიერო ნარკვევებს ათავსებდა და სემინარიაშივე, 1872 წ., დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. პირველად სთარგმნა „ორლეანელის ქალწული“, შემდეგ „როსელის დღიური“, დასწერა პირველი სახალხო მოთხრობა „რა მიზეზია?“ (სემინარიის ხელნაწერ ჟურ.), „ძველ-ახალი ამბები“ („დრ. 1872 წ. № 41) და სხ. მაგრამ მარტო კალმოსნობა არ აკმაყოფილებდა: ზაფხულობით სოფლად მიჰქონდა წიგნები და ხალხს უკითხავდა, თითონაც ეცნობოდა და სწავლობდა გლეხთა ყოფა-ცხოვრებასა... 1873 წ. კურსი შეასრულა და გორს გამწესდა რუსული ენის მასწავლებლად. ამ დროს გორის სას. სასწ. ქართული ენა მიფუჩეჩებული იყო: მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალია, კვირაში რვა გაკვეთილი ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ მასწავ. ჯამაგირი არ ეძლეოდა, რის გამოც ქართულის სწავლებას არავინ კისრულობდა. სოფრომმა მუქთად დაუწყო სწავლება და ისე ბეჯითად, რომ მოწაფენი ხარბად დაეწაფნენ სამშობლო ლიტერატურას, თითონ დაიწყეს ზეპირ-სიტყვაობის შეკრება და ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა... სოფრომი რუსულისა და ქართულის გარდა სხვა საგნებსაც ასწავლიდა.

მაგრამ ქართლის შუაგულს — გორს, ჭორიკანობაში ჩაფლულს, მარტო მასწავლებლობა ვერას უშველიდა: საზოგადოება ფუქსავატად ჰკარგავდა დროს, თითო-ოროლა „შეგნებულნი" პირნი-კი ლოთობანობას მისდევდნენ. სოფრომი ჩაერია მათში, შექმნა წრე. მისგან ფრთა შესხმულმა ახალგაზრდობამ დაიწყო კითხვები და ქართული წარმოდგენები არა თუ გორში, მთელ ქართლის თვალსაჩინო სოფლებშიც (თითონ სოფრომი მოკარნახე იყო და გლეხურ სცენებს კითხულობდა), ხელი შეუწყო „დროების" ხალხში გაწერვას... სოფრომმა დაიწყო კორესპონდენციების წერვა, აამოძრავა დახავსებული საზოგადოება და ეროვნულ-კულტურულ მისწრაფებათ აზიარა. ამ დროს მისი თანამგრძნობი იყო ვ. დეკანოზიშვილი. 1874—75 წწ. ჩაეშველნენ სტუდ. ნ. ხუდადოვი, ქ. ფურცელაძე, რ. ფავლენიშვილი და სხ. ამ დროს შესდგა ხალხოსანთა წრე („ტეტიათა მოტრფიალენი") და ხალხის გათვითცნობიერებას შეუდგა. წრეს ბლომად მოსდიოდა საიდუმლოდ დაბეჭდილი წიგნები, რომელთაც სთარგმნიდნენ და ხალხშიავრცელებდნენ. ამ მოძრაობამ ისე გაიტაცა სოფრომი, რომ უმაღლეს სასწავლებელში ვეღარ წავიდა. ამ ხანებში ციხეშიაც ჩასვეს... ხანგრძლივმა და შეუდრეკელმა, თითქმის ოცის წლის, შრომამ — მასწავლებლობამ დაასუსტა, რის გამოც 1893 წ. ფოთს გადავიდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიის მდივნად, 1897 წ. თბილისს გადმოიყვანეს. აქ, როგორც ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ვოსტორგოვმა დევნა დაუწყო და ბოლოს, ეპისკ. კირიონს, ლეონიდს და არქ. ამბროსისთან ერთად ბრალი დასდეს ნიკონ ექსარხოსის მკვლელობაში. სოფრომი მედგრად დახვდა უსაბუთო ბრალდებას, მაგრამ ბოლოს ბრმა ძალამ გაიმარჯვა და იძულებულ ჰყვეს, სამსახურიდან გამოსულიყო. ამ დროს ბევრი გაჭირვება გამოიარა. მაგრამ დახმარების ხელი ვერავინ გაუწოდა. მიუხედავად ამისა, მან გულში არ ამოიქრო უმაღლესი გრძნობა მამულის სამსახურისა.

სოფრომმა მასწავლებლობის დროს ბევრი სასარგებლო მუშაკი აღგვიზარდა. მისი გავლენით აღიზარდნენ დ. კარიჭაშვილი, ალ. ყიფშიძე, ია ეკალაძე, განსვენებული შიო ჩიტაძე, ალ. სოლოლაშვილი, ალ. საათაშვილი და სხ.

1872 წლიდან მოყოლებული, ხშირად მონაწილეობდა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში; ერთხანად ილიას „ივერიის" მუდმივ თანამშრომლად იყო, შემდეგ დამოუკიდებლად აწარმოებდა ამავე გაზეთის საკვირაო ფელეტონებს, 1912 წ. მ. გაჩეჩილაძესთან ერთად ჰრედაქტორობდა გაზ. „ჩვენი დროება"-ს, ბოლოს „თემ"-ს.

მის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი მოთხრობა, სცენა, მოგონება, პუბლიცისტური, თუ სხვა ხასიათის წერილი. სხვათა მოთხრობათა შორის აღსანიშნავია „წარსულიდან" („მოამბე", 1899—1902 წ.), რომელიც ფოტოგრაფიული სინამდვილით გვისურათებს 50—60-იან წლების სწავლა-აღზრდისა წესსა, „ლამის მეხრე ცეცო", „ჯორი ზაქარა", „დლიური ბიძია თომასი", „გმირისეული ქალი", „დედა მაია" და სხ. აქვს საყმაწვილო მოთხრობანიც. ყველა თავის ნაწერში თავს დასტრიალებს ჩვენის ხალხის, განსაკუთრებით გლეხთა ყოფა-ცხოვრებასა და დიდის სიფაქიზით, ღრმა დაკვირვებით აგვიწერს.

მხცოვან მწერალი ამ ჟამადაც ჭაბუკური ხალისით მონაწილეობს საზოგადო საქმეებში და ახალ მოთხრობა-მოგონებათ სწერს.

ჩვენი ვალია მისი ნაწერები წიგნებად გამოვცეთ და ხალხისა ხალხსავე დაუბრუნოთ სულის საწვრთნელად, გონების საზრდოთ...

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 39)

V

„სოფლის გმირები“ საუცხოვოდ იქმნა წარმოდგენილი. პეპელამ ისეთის სინაზით ჩაატარა ანიკოს როლი, ისეთი ახალი ჰანგები მოუძებნა თავის ხმის ბგერას და სახის გამომეტყველებას, რომ ყველანი გააკვირვა. სიკვდილის სცენამ მაინც მთელი საზოგადოება აატირა. პარტერიდანაც ბევრნი მოვიდნენ სცენაზე პეპელას მოსალოცად. „ეს პირდაპირ თქვენი გამარჯვება იყოვო!“ ეუბნებოდნენ მოსულები. თავისუფალი ამხანაგთაგანიც ამოვიდნენ ზოგ-ზოგნი. „ძველი გვარდიიდან“ კი მხოლოდ ოთარ ბეგის აღმასრულებელმა გაამხნევა: „ყოჩ ღად იყავიო“.

მ გრამ ყველაზე უფრო გახარებული სუფლიორი ვარლამი იყო. ის დარბოდა კუთხიდან კუთხეში და ყველას ამას ეუბნებოდა: „დახედეთ, პეპელამ გვასახელაო!“ თვით დინჯ „მაშინისტსაც“ კი შეჰღიმილა ვარლამმა და იმანაც თითქო თანხმობის ნიშნად, სათნოდ თავი დაუქნია.

მაინც საზოგადოთ ყველას სიხალისე, ალფრთოვანება ეტყობოდა; ყველა გრძნობდა, რომ წარმოდგენა კარგათ მიდიოდა და ეს ალტყინებულმა ახალგაზდობამ თავის გამარჯვების დღესასწაულად ჩაითვალა.

პეპელა ცალკე როლის ასრულებით და ცალკე შექებით აღელვებული, თვალეზზე სიხარულის ცრემლ-მომდგარი, ისე იყო გაფანტული, რომ გარშემოხვეულ მომლოცველთათვის პასუხი ვერ მიეცა და ვერც გრიმი მოეშორებინა.

საპირფარეშოში ცოტა მოგვიანებით სოსოც შემოვიდა. ჩუმად ხელი ჩამოართვა პეპელას, ცოტა ხანს მის ლამაზ თვალებს მიაჩერდა და შემდეგ უთხრა:

— ხომ გეუბნებოდით! . უკვე გაიმარჯვეთ. ეხლა ხომ გექმნებათ თავის რწმენა... ჰა, ჰა! მახსენდება ერთი ფრანგი მსახიობ-ქალის ამბავი. ახალგაზდობაში არავის არა სწამდა მისი ნიჭი. თვითონაც კი ეპარებოდა ეჭვი. ერთმა უფროსმა მსახიობმა ქალმა უთხრა კიდეც თურმე: „თქვენ, ჩემო კარგო, გირჩევნიათ სცენას თავი დაანებოთ და ყვავილების გამყიდველ ქალათ წახვიდეთო!..“ გავიდა დრო, ჟამი. ახალგაზდამ წაიმუშავა, შრომის უნარი გამოიჩინა და ამ შრომაში მისი ნიჭიც აყვავდა. სახელი გაითქვა, საზოგადოების გული მოიგო. ერთ წარმოდგენის დღეს მადლიერმა საზოგადოებამ ყვავილებით გაუმსო სცენა და ნამდვილი ოვაცია გაუმართა. იქვე იყო მისი ერთ დროს გამკილავი მსახიობი ქალი. უკვე სახელ-მოხვეჭილმა ახალგაზდამ ასე მიმართა: „ქალბატონო, ერთ დროს თქვენ მირჩიეთ, რომ ყვავილების გაყიდვისათვის მიმეყო ხელი. ხედავთ რამდენი ყვავილია! ხომ არა გნებავთ მოგყიდოთ?..“

ამ ამბავზე ყველას არ გაეცინა. იქვე მყოფმა სკვინჩაძემ კი მუჯლუგუნი წაჰკრა მის გვერდით მყოფ ანდროს.

ანდრომ ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს მუჯლუგუნი და გამობრუნებულს უნდოდა ეკითხნა სკვინჩაძისთვის, მაგრამ უკვე მესამე ზარს ჩამოჰკრეს და შესრულებელნი სცენაზე გაიწოდნენ. უკანასკნელი მოქმედება უნდა ჩიეტარებინათ.

რეჟისორმა კოხტათ და სათანადოთ მოუწყო ახალგაზდებს პროვინციულ რკინის გზის სადგურის სცენა მისი „პასაჟირებით“, ხილის და სხვა სანოვაგის გამყიდავეებით, მოსეირნეებით და სხვ. ასე რომ „პერსონაჟების“ როლების ასრულება უფრო ფერადოვანი და გამონაკვთული გამოვიდა.

სპირიდონ მცირიშვილი, პიესაში ცოტა მკრთალად გამოსული, სოსოს ხელში ნამდვილ გმირათ იქცა და საზოგადოთ, როგორც მკვლელობის, ისე მთელი სცენაც ტარიელ მკლავაძისა, კნეინა ბუსუსასი და ქარქაშიძის დიდის სიცოცხლით და იერით იქმნა ახალგაზდათაგან შესრულებული.

ჩამოეშვა ფარდა და ხალხის ტაშს ძახილს დასასრული არ უჩნდა. ყველანი კმაყოფილნი, ნასიამოვნები დაიშალნენ.

ძნელი იყო ასეთ წარმოდგენის შემდეგ თავის შეკავება ახალგაზდებისათვის. უსათუოდ უნდა გაეზიარებინათ ერთი-მეორისათვის განცდილი აღფრთოვანება, გაეხსენებინათ ეპი-

ზოდები წარმოდგენის მსვლელობისა და მიღებული შთაბეჭდილებანი გაეხადათ უფრო ღრმა და უფრო საერთო.

ამის სახსრად, ჩვეულებისამებრ, მამაკაცებმა „ანკარა“ მიიჩნიეს. ვარლამს უნდოდა, რომ სადმე სხვა უფრო „რიგიანს“ რესტორანში წასულიყვნენ და თან წაეყვანათ ამხანაგი ქალებიც, მაგრამ რომ გაისინჯეს ჯიბეში იმდენი არ აღმოაჩნდათ და ხაზინადარი კი უკვე წასულიყო, განზრახვა შესცვალეს.

მაინც და მაინც მათ აღფრთოვანებას ამითი ფრთები არ შეკვეცია. ეს იმასაც დაეტყო, რომ „ანკარას“ მიხურულ დარაბებიდან იმ ღამეს დიდ-ხანს გამოისმოდა სხვა და სხვა მწყობრი, ქართული სიმღერა.



ახალგაზდა მომღერალი

**მარიამ შავერზაშვილი**

სწავლა შეასრულა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, პროფეს. რიადნოვის სასიმღერო კლასი. თვით პროფესორმა საჯაროთ სთქვა ამ ქალზე: „ეს არის სიამაყე ჩვენი სასწავლებლისაო“. გასულ კვირას მოწაფეთა კონცერტზე თვის სიმღერით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება ამ მოკლე ხანში ქუთაისს მიემგზავრება, თავის სამშობლ ქალაქს, სადაც კონცერტის გამართვას აპირებს.

# ყვავილები

**მაწანწალა გოგოს**

უბედური დედის მკერდით
უდროვო-დროით მოწყვეტილო,
ცხოვრებისკან გარიყულო,
ჯერ უმანკო, ნორჩო, ჩვილო!
ხან მშიერო და მწყურვალო,
ღვთის ანაბრად გამოზრდილო;
უბინაო, უსახლკარო,
უნუგეშო ქუჩის შვილო;
გამხდარო და ფერ-მიმკრთალო,
თვალ-მაყვალა, შავ თმიანო,
გოგო! გოგო! ფეხშიშველა
მრავალ გვარ-ფერ კაბიანო,—
მოდი, მოდი, შემოსძახე
ხრინწიანი ხმით სიმღერა;
შემოსძახე, შემოსძახე,
მოალხინე ირგვლივ ყველა.
იმღერე და ტანის რხევით
დაუარე თან დავლური,
ეგებ ვინმემ იგულისხმოს,
მოგაწოდოს ლუკმა-პური.



**ალ. დ. გამყრელიძე 18 წ.**
(მსახ. დ. აწყურელის შვილი) თავისუფლად შესული, დაჭრილია. დაჯილდოვებულია გიორგის ჯვრით, წარდგენილია პრაპორჩიკობაზე.

თქვენ-კი, თქვენ-კი, აქ მსმენელნო,
იცინეთ და იხარხარეთ,
დაუკარით ტაში, ტაში,
ნეტარების ცრემლი ღვარეთ.
შენ-კი ისევ, ტანჯვის შვილო,
შემოსძახე კვლავ სიმღერა;
ასე, ასე, უნებურად
მოალხინე ირგვლივ ყველა...
დაიღალე? ხმას ვერ უწევ?
აღარ შეგწევს მეტი ძალა?—
რათ აცეცებ ირგვლივ თვალებს
ხედავ, არვინ შეგიბრალა!..
ერთხელ კიდევ სცადე ბედი,
მოტრიალდი ნაზის რხევით...
თქვენ-კი ნაცვლად, უდარდელნო,
იხარხარეთ თავის მტვრევით...
საამოა გასართობლად
უბინაო მაწანწალა,
სიმშილისგან მილეული,
უსუსური ნორჩი ძალა...

**დარია ახვლედიანისა**

### ნუ, ნუ შეახებ!..

ნუ, ნუ შეახებ ჩანგს ბროლის თითებს,
მწუხარე ჰანგით აქვითინდება
შენ ვერ მოგალხენს, ხოლო ჩემ სულსა
ის არასოდეს არა სწყინდება!..

მე სევდა მიყვარს,—ჟამსა განცდისას,
როს სულს აღაფრენს ღმერთი მუზისა
და გულსა, ქცეულს სევდის სავანედ,
ჩაექარგება სიმღერა ცისა! .

—

მე სევდა მიყვარს, სევდა უცრემლო,
ხმა მაღლა გლოვას დაშორებული.
ჩემი სევდაა—შურისძიება,
ჩანგის სიმებზე აღყვავებული!.

თუ ვერ აიტან ჩემ ჩანგის ქვითინს,
ოდეს სამშობლო ჩემი იხრწნება;
მაშინ შორს წადი ჩემგან, ლამაზო,
იქ... სად მიჯნური გამოგიჩნდება!..

—

ჰო და ნუ შესძრავ ჩანგს ბროლის თითით,
მწუხარე ჰანგით აქვითინდება:
შენ ვერ მოგალხენს, ჩემო ლამამაზო,
ხოლო ჩემ სულსა არა სწყინდება!..

**გ. ლეონიძე.**

1914

### მე კვალად ვცოცხლობ!..

მე კვალად ვცოცხლობ, იმედის ცეცხლი
მომავლისაკენ მინათებს გზასა,
მე კვალად ვცოცხლობ და ნურვინ ფიქრობს,
ვითომც დავდუმდი, შთაველ საფლავსა!..
ბრძოლის ალმურში ნაწრთობი სულით
სულ წინ მივფრინავ, ვით ლაღი გედი,
გადვიქეც მეხად, რისხვის სტიქიათ
მტურს გამოვჭედო ჩემივე ბედი!..
და აწ შავ ძალებს, ავსულთ ლეგიონს,
ძლევის გრიგალად მოვევლინები,
დაუნგრევ ფუძეს ცოდვის მფარველებს,
მე არ შევდრკები, არ შევშინდები...
მე კვალად ვცოცხლობ და ვიკრებ ძალას
დიად მომავლის სახილველადა,
ბრძოლით იქმნება მშვენიერება,—
მე არას ველი უბრძოლველადა!..

**ხ. ვარდოშვილი**



**დარეჯან დედოფალი**
სამეგრელოს მთავრის დადიანის ასული, მეფე ერეკლე II მეუღლე.

# ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 43)

**ბაგრატ.** მაშ ერეკლე მეფე რად მიილტოდა რუსეთთან?

**დარეჯან.** მარტო იმიტომ, რომ რუსეთი და საქართველო ერთი და იგივე მართმადიდებელი ქრისტეს სარწმუნოებისა არიან.

**ბაგრატ** ჰო და მაგ მიზეზს განა მცირე მნიშვნელობა აქვს?

**დარეჯან** მაგ მიზეზს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! რა ჩვენი საქმეა, რა რჯულისა იქნება ჩვენი მფარველი, ქრისტიანი, მაჰმადიანი, ებრაელი თუ სხვა რომელიმე რჯულისა?!. ჩვენ, იმის წინაშე, ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ და სხვას არაფერს!.. ან რა ჩვენი საქმეა, წავა ჩვენს ეკლესიაში ჩვენი მფარველი თუ არა?.. ერთსარწმუნოება!.. თუმცა ერთი და იგივე სარწმუნოებისა ვართ, მაგრამ შემდეგში ჩვენი ტაძარ-საყდრები შეუერთდება რუსეთისას; ჩვენი მღვდლებისა და მოძღვრების მაგივრად—თავისას დაგვიყენებენ; ჩვენს წმიდანებს ისინი არ ცნიარებენ და დაგვატანენ ძალას, რომ იმათი წმიდანები ჩვენც ვიწამოთ. ეს ასრე იქნება, დამიჯერე, მე ძალიან კარგად ვიცი! ოსმალოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სპარსთა არა ჰყავთ თავიანთი წმიდანნი და ძალასაც არ დაგვატანენ, რომ იმათი მაჰმადი ვიწამოთ, ანუ რომელიმე იმათი წინასწარმეტყველი.

**ბაგრატ.** რასა ბრძანებ!. ეგ როგორ იქნება!

**დარეჯან.** შენ წინა ბნელა, ჩემო ბაგრატ ცაციშვილო! შენ მომავალზედ უნდა იფიქრო, თუ შემდეგში რა მოგვივა და რას მოვესწრებით, ლონიერი ყოველთვის დასძლევს უღონოს. ჩვენ სუსტნი ვართ, ისანი—ძალოვანნი. ჩვენ წავაგებთ—ისინი მოგებაში იქნებიან! ჯერ ისევ დიდის ხნიდან მოყოლებული, ამ სამასი წლის წინად, კახთა მეფე ალექსანდრემ რუსეთს მიჰმართა, მოდით აქ და მფარველობა გაგვიწიეთო. ჯერ ისევ ბორის გოდუნელის დროსვე რუსეთს ჩვენკენ ჰქონდა პირი, რომ როგორმე ჩაეგდო ხელში საქართველო და დაჰპატრონებოდა, უნდოდა რომ ყველა მცირე სხვა და სხვა ტომნი ჩვენის ქვეყნისა ერთად შეეკრიბა და თავის მართველობის ქვეშ ჰყოლოდა... აბა იფიქრე, კარგი იქმნებოდა? სხვა და სხვა ტომნი ერთმანერთს დასჭამდნენ და სხვა არაფერი!

**ბაგრატ.** იქნება ეგრეც იყვეს, როგორცა ბრძანებ, დედოფალო. შენა ბრძანებ, რუსეთი ოსმალეთზე ჩვენგან უფრო შორს არისო. მაგრამ ამის მიუხედავად, რუსეთი ხომ ყოველთვის ეწეოდა ერეკლე მეფეს, იმის ორმოცდა და თორმეტის წლის მეფობის განმავლობაში, ყოველთვის უმართავდა ხელს და ამ დახმარებისათვის რუსეთს არა მ უთხოვნია-რა ერეკლესაგან, როგორც თხოვდნენ ოსმალეთი და სპარსეთი, რომ სამას-სამასს ლამაზს ქართველთა ქალებს ვგზავნიდით ყოველს წელიწადს იმათ ჰარამხანისათვის... დედოფალო, ქართველების ის საერთო გოდება, წყევლა და კრულვა დავიწყებული არ გექნება, როცა ვუგზავნიდით ხოლმე იმ ბედკრულს ქალებს და რამდენი ქართველი ქალი იღუპებოდა სულთნისა და შაჰის ჟინის მიზეზით! მხოლოდ ამითი იჩენდნენ თავიანთს გავლენას და მაინც კი ყოველთვის გვღალატობდნენ. რუსებს ხომ თავის დღეში არ უღალატნიათ ჩვენთვის.

**დარეჯან.** გენერალ ტოტლებენმა კი არ უღალატა ერეკლე მეფეს ოსმალებთან ომის დროს ასპინძას?!

**ბაგრატ.** არა, დედოფალო, იმან კი არ უღალატა მეფეს, მხოლოდ ეკატერინე დედოფალის უმაღლესისა ბრძანებით მოსპო წინააღმდეგობა ოსმალებთან, რადგანაც მაშინ რუსეთმა ოსმალეთს შერიგების ზავი შეუკრა. ეს ღალატი კი არა, დედოფლის სურვილის შესრულება იყო.

**დარეჯან.** ნუ მიჰქარავ!.. ერეკლე, ის დიდებული მეომარი ქრისტეს სჯულისათვის, იძულებულს გახდა მუხლზე დამხობით ტოტლებენის წინაშე შეჰხვეწნოდა, შეჰმუდარებოდა არ დაენებებინა თავი ერეკლესათვის ცხარე ბრძოლის დროს, არ დაეღუპნა მეფე და მთელი საქართველო, რომ საქართველოს ქრისტიანთა ჯარზედ გამარჯვება ოსმალებს არ დარჩენოდათ... მეფის წინაშე მუხლის მოდრეკა სათაკილო არ არის, მაგრამ დიდი სირცხვილია გენერლის წინაშე. მაშინ ერეკლემ დაივიწყა თავისი მეფური ღირსება, მიწას შუბლს ახლიდა, იმ მიწას, რომელზედაც ის უსირცხვო გენერალი იდგა და ის მაინც უწყალო იყო, არც მეფის შეწუხებას მიჰხედა, არც იმის დამცირებას და უღალატა, გავიდა ბრძოლის ველიდან... მე სულთანი მინდა, იმიტომ რომ შაჰის დაუძინებელი მტერია.

**ბაგრატ.** კარგი, ბატონო! სულთანი დასძლევს შაჰს, გააძევებს საქართველოდან და თვითონ მოჰკიდებს ხელს ჩვენს ქვეყანას და მოგვთხოვს მზევალს, ამანათს და სამასს ლამაზ ქალს .. მაშინ რაღა ექნება? განა უკეთესი იქნება ჩვენთვის? რუსეთი კი, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თავის ძმურს მფარველობას გვიწევს, გვშველის თავის ჯარით, გვაძლევს ფულს, ოქროს თუ ვერცხლსა, გვიფარავს სულთნისაგან და შაჰისაგანაც და სამაგიეროდ ჩვენგან არა-რას ითხოვს და. .

**დარეჯან.** ვიცი, ვიცი, ეს ყველაფერი კარგად ვიცი!..

**ბაგრატ.** თუ იცი, რუსეთის მადლობელი უნდა იყვე, დედოფალო, და კი არ უქციო ზურგი და სულთანს ხელი არ უნდა მიუშვირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დარეჯან**. ეგ შენი რჩევა შენთვისვე შეინახე და მაგის თქმას მე ნუ მიბედავ, უზრდელო!

**ბაგრატ**. ვიღაც მოდის!

V

იგინივე, **ქეშიკი, შემდეგ გიორგი მეფე, ბატონიშვილი დავით და ოთარ ამილახორი**. (ამათ გამოსვლამდის, სცენაზე გამოდიან 10 ქეშიკი და 20 მეომარი, მწკრივად დადგებიან. ქალთა ამალა ღრმა სალამს უძღვნის მეფეს. დარეჯანი მეფეს სალამს არ აძლევს და მედგრად უცქერის).

**ქეშიკი**. მეფე მობრძანდება!

**გიორგი მეფე** (დარეჯანს თავნაკ უკრავს თავს, რომელიც ისევ სავარძელში ზის.) დიდი მშვიდობისა, დედოფალო! ნეტარხსენებულის მამი ჩემის, ერეკლე მეფის მდივანი, თავადი სულხანა თუმანიშვილის გაგზავნა გინებებია შენ გუშინ არქიეპისკოპოზებთან, ეპისკოპოზებთან და თავად-აზნაურობასთან შესატყობინებლად, რომ რადგანაც შენ, მადლითა და მოწყალებითა ღვთისათა, ჯერ ისევ ჯანმრთელადა ბრძანდები, რომ სულ ყველამ შენ გიწოდონ დედოფლად და ჩემი მეუღლე, მარიამი, შენსა რძლად და რომ ლოცვა-კურთხევაში ჯერ შენი სახელი იხსენიონ და მერე კი ჩვენი. რა პასუხი მიიღე? (სიჩუმე) მე პასუხს ველი! (სიჩუმე) შენ დაგავიწყდა თუ, რომ მე, მამი ჩემის, ერეკლე მეფის, აი ამ სამეფო ტახტზედ მეჯდომარეც ვზივარ! (სიჩუმე) რა პასუხი მოგართვა თუმანიშვილმა? (სიჩუმე) არას მიბრძანებ? იდუმალ ხარ? (ამალას) თქვენ რას იტყვით? (საერთო სიჩუმე) ჩემი დედინაცვლის გამოცხადებაზე დისტური დაეცით? (საერთო სიჩუმე) მე პასუხს ველი.

**ოთარ**. რა პასუხს ელი ჩვენგან, მეფევ?

**გიორგი**. როგორ უნდა უწოდონ ჩემს მეუღლეს და ლოცვებში ვისი სახელი უნდა იხსენიებოდეს პირველად?

**ოთარ**. მე არ ძალ-მიძს პირველს ხმის ამოღება. აქ ჩემზედ უფროსნი სხანიც არიან, მაგრამ რადგანაც ყველანი დადუმებული ბრძანდებიან, მე მოგართმევ პასუხს ამათ მაგიერ. (იქა მდგომთ) ერთი ეს მიბრძანეთ, აქაურს გზირის ცოლს რას უწოდებთ?

**ხმა**. გზირის ცოლს, გზირის ცოლს ვეძახით და სხვა არაფერს!

**ოთარ**. მაშ როგორ გინდათ, რომ მეფის ცოლი დედოფლად არ იწოდებოდეს?! შენ ჩვენი მეფე ბრძანდები და შენი სახელი უპირველეს ყოვლისა ენაზედ უნდა გვადგეს!

**გიორგი** (დარეჯანს) მიხვდი ამ პასუხს?.. რადგანაც შენ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულობა განიზრახე და ყველა ბატონიშვილს აქეზებ ჩემ მტრობაზე და რომ სცდილობ ოსმალების შემოსევას საქართველოში, გიცხადებ ჩემს მტკიცე გარდაწყვეტილებას: საცხოვრებლად შენ წაბრძანდები სოფელს თელაბარს: ყველა ის დაბა-სოფლები და მამულები, რომელიც საუფლისწულოდ ალიარებულს არიან დედოფლის საჭიროებისათვის, დღეის შემდეგ ეკუთვნებიან დედოფალს მარიამს და შენ კი, რაიცა კი საჭირო იქნება შენთვის, ყველაფერი მოგერთმევა მეფის სასახლიდან. (ამალას) მიაცილეთ სადაც ჯერ-არს! (მეომარნი და ქეშიკნი დარეჯანს ირგვლივ შემოერტყმიან)

**დარეჯან** (უცბად წამოდგება, ამაყად და დიდებულად ხელს გაიქნევს) გაჩერდით! ჩემთან მოახლოვება არ გაბედოთ! (ყველანი განზე გადგებიან. სიჩუმე. გიორგის) რა საბრალო რამ ხარ მაგ შენს დიდებულებაში!... შენ როგორ მიბედავ, რომ აგრე უზრდელად მეპყრობი, მე, აგრე შეუპოვრად, ერეკლე მეფის მეუღლეს, შენი მშობელი მამის მეუღლეს?! პოი, სირცხვილო!.. როგორ ჰბედავ, რომ აგრე მელაპარაკები სამეფო ტახტიდან, რომელზედაც შენ ადგილი არა გაქვს?!. შენ ჩემს მფარველობას უნდა ეძებდე, შენსა დედოფლის მფარველობას და შენ კი, იმის ნაცვლად, ჩემზე ძალასა ხმარობ?!. (ამალას და ქეშიკმეომართ) გადით აქედგან! მე თვითონ გავალ ამ სახლიდან, როცა ჩემი ნება იქნება! (ქეშიკნი და მეომარნი თავის ქვეშ მწკრივად დადგებიან) მე ფეხზედა ვდგევარ, შენა ჰზიხარ! იმითი მაინც მეცი ღირსეული პატივი, არ იჯდე ჩემს წინაშე, როცა მე გელაპარაკები! (გიორგი ჩამოვა ტახტიდან, აგრეთვე დავითიც, გიორგი მეტად აღელვებულია) პირში რომ მიყურებ, არა გრცხვენია?! თვალის გასწორებას მიბედავ?!. მოღალატე!.. ბრიყვო!.. ლაჩარო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფევ!.. სამეფოს გამყიდავო! (მეტად მკაცრად) რა მოიგე? (იმის ორდენის ლენტას ხელს წაავლებს და სწეწავს) მხოლოდ ეს?.. ეს ჩვარი?!. ან ამ შენი მემკვიდრის ეს ცოცხები? (დავითის ეპოლეტებსა სწეწავს) ხა, ხა, ხა! . ოჰ, რა მასხარა ხარ შენის დიდებულობით!.. შენ მიბედავ ამ სახლიდან დათხოვნა!, სადაც მე მრავალი წელი დავყავი დედოფლურის სრულის უფლებით! გავალ, გავალ მე თვითონ!.. ეს კი დაიხსომე, რომ მე შემიძლიან შურის ძიება მაგ შენს უსამართლობაზე და შენს ლირფობაზე მაგიერის გადახდა!.. შენ მტვერი ხარ ჩემ წინაშე; შენ ულონო ხარ და მე მეფურის სიმძლავრითა ვარ მოცული! (მედიდურად) ჩემთან ბრძოლას არ გირჩევ, გამარჯვება მე დამრჩება!.. შენ დაემხობი ჩემთა ფერხთა წინაშე და მე ამ ფერხთით შენ გაგსრესავ ჭიასავით! (მიდის თაღისაკენ და რა ჰნახავს, რომ გზას არ აძლევენ, მკაცრად იტყვის) გზა!..* გზა მომეცით, თქვენს დედოფალს! (გზას წამსვე მისცემენ. ზიზღით შეჰხედავს უგმდას და ნელისა და წყნარის ნაბიჯით მედიდურად გავა. თავისი ქალთა ამალა გაჰყვება).

**გიორგი** (მეტად შეწუხებული. დავითს) დავით! იახელ, მიაცილე დედოფალი და მალე დაბრუნდი. (დავით საჩქაროდ გავა)

## VI

**იგინივე, დარეჯანისა, დავითისა და ქალთა ამალის გარდა.**

**გიორგი** (ისევ ტახტზე ადის) ოთარ ამილახორო! სპარსეთის შაჰმა ბაბა-ხანმა თავისი ელჩი გამომიგზავნა, ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი, მთელს სპარსეთში განთქმული თავისის თაკხედლობით და ლიზლობით. ხვალ აქ სადარბაზოთ მიღებულ იქნება რუსთა ვეზირი კოვალენსკიც დაესწრება. პატივისცემა და ალერსი უნდა აღმოვუჩინოთ ჰაჯი-იბრაჰიმს. დღეს თუ ხვალ თბილისს რუსთა ახალი პოლკი შემოვა. მინდა, ხალხი იმ პოლკს მხიარულად დაუხვდეს. შენ, ოთარ, და შენც, ბაგრატ, მხიარულად დახვედრის მოთადარიგეთ იყავით. დარეჯან დედოფლის საუფლის-წულო სოფლების მცხოვრებთ გამოუცხადეთ, რომ ამას იქით ემორჩილებიან მარიამ დედოფალს. ახლა წადით თქვენ თქვენს საქმეზე და ხვალ მოგვხედოს მაღალმა ღმერთმა საცოდავ და ტანჯულ ქართლის საკეთილდღეოდ.

## VII

**იგინივე და დავითი**

**გიორგი** (შემოსულს დავითს) მიაცილე?

**დავით.** არ ინება, დამითხოვა, ნუ მაწუხებთო.

**გიორგი.** მაშ კარგი!.. შვილო, დავით! შენზე მაცნობეს, რომ ამ ბოლოს დროს ცბიერობა დაგიწყვია ჩემ წინააღმდეგ მშობელ მამისა და კანონიერის მეფის წინააღმდეგ! მითხრეს კიდევ, რომ კოვალენსკის და ღენერალ ლაზარევის მოქმედებით უკმაყოფილო ხარ!.. იმათი გაკიცხვა მე და შენ არ ძალგვიძს. ისინი აქ წარმოგზავნილნი არიან თვით იმპერატორისაგან და იმის უმაღლესი ბრძანების თანახმად ჰმოქმედობენ... მე... კმაყოფილი ვარ იმათი და გირჩევ შენ ჩემს მაგალითს მიჰყვე, ისე რომ რაც მითხრეს შენზე, მე .. არა მჯერა-რა და წინადვე გიცხადებ, რომ ცბიერობა შენ არ შეგფერის, რადგანაც ჩემს შემდეგ ეს სამეფო ტახტი შენ გეკუთვნება, როგორც ჩემს კანონიერს მემკვიდრეს. სამეფოს განაგებ შენ რუსთა რწმუნებულთა პირთა თანადასწრებით. დაანებე თავი ყოველს მიწერ-მოწერას შენ ბიძებთან, ბატონიშვილებთან. ისინი შენ უფრო დაგღუპვენ და შველით კი ვერას გიშველიან და არც ისურვებენ შენს შველას. აგრეთვე კოვალენსკის და ლაზარევს ღირსეული პატივი უნდა სცე და მეგობრულად მოეკიდო. სამეფო გამგებლობაში ისინი ჩვენი დამხმარებელნი არიან... ახლა წადით ყველანი, მე მინდა მარტო დავრჩე! (დავითი სალამს მისცემს და გავა; ამას გაჰყვებიან უგმდანი. სულ ბოლოს მიდიან ოთარი და ბაგრატ. მეფე გიორგი უგმდას თვალს ადევნებს. როცა უგმდანი გავლენ, დაუძახებს ოთარს და ბაგრატს) ოთარ! ბაგრატ! (ხელს დაუქნევს; ესენი მიუახლოვდებიან) სასტიკად გავალებთ თქვენ ორივეს დავითს თვალყური ადევნოთ! ყოველ იმის მოქმედებას, ყოველ იმის სიტყვას დააკვირდით, ყოველი იმისი სულის კვეთება და სისხლის მოძრაობა დაიხსომეთ და მაცნობეთ მე ყოველივე დაწვრილებით. მოიქეცით ისე, რომ დავითი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი მეფე
(1798—1800)

ვერ მიხვდეს, რომ იმისი სასტიკი მზვერავები ხართ... და თუ შეგამჩნიათ, ხომ იცით, ფიცხია და გულის მოსვლა ადვილად იცის... მაშ აგრე, ფრთხილად იყავით! (დაუკრავს თავს, ესენიც ღრმა სალამს მისცემენ და გავლენ)

**ქ. ყიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

# დიქცია

## გამოთქმა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 43)

გარდა ამისა, სწერენ*) გყავსთ, გაქვსთ, გესმისთ, გიყვარსთ და სხვა... ესე წერა, რადა თქმა უნდა, კანონიერია. მაგრამ კეთილხმოვანობისათვის, ჩვენის აზრით, ემჯობინება უკანასკნელი ს არ გამოვთქვათ და ვთქვათ ხოლმე: გყავთ, გაქვთ, გესმით და სხვა... აგრეთვე იწერება, ორმოცდა ათი, სამოცდა-ათი და სხვა ჩვენ ვსთქვათ

| | | |
|---|---|---|
| ოცდაერთის | მაგივრად | ოზდაერთი |
| ოცდაორი | „ | ოზდაორი |
| ორმოცდაერთი | „ | ორმოზდაორი |
| ოთხმოცდა-სამი | „ | ოთხმოზდა სამი |

და სხვა.

სიტყვა რად, მხოლოდ, კარგად და სხვა... მაგიერათ, ვთქვათ: რათ, მხოლოთ, კარგათ და სხვა, რომ-ის შემდეგ თუ სიტყვა ხმოვან ასოთი იწყობა, ვთქვათ რომ; მაგალითათ: რომ არ იყო ის გირჩევნია; და თუ სიტყვა თანხმოვან ასოთი იწყობა, ვთქვათ: რო და არა რომ. მაგალითათ სწერია:

ეს ცეცხლი რომ მე მეგზნება,
რად მკითხავ, როდის გაქრება

(ალ. ჭავჭავაძე)

ვთქვათ: ეს ცეცხლი რო მე მეგზნება, და სხვა.

აქ გავჩერდებით, რადგან ჩვენ, როგორც წინასიტყვაობაში მოვიხსენიეთ, დიქციის სახელმძღვანელოს არა გწერთ. მხოლოთ ვიტყვით იმას, რომ თუ მსახიობმა გულდადებით და ხინდისერათ ქქება ყოველივე სიტყვის ლამაზათ გამოთქმა, თვითონაც იპოვნის. მაგალითათ, ადვილათ მიჴხვდება რო ფრაზა: ზარს ჰრეკავს ულამაზოა და იტყვის ზარსა ჰრეკავს. რო ფრაზა ერთის სიტყვით ულამაზოა. აქ პირველი სიტყვა თანხმოვან ასოთი თავდება (მერე ისიც ასო ს) და ამავე ასოთი იწყობა მეორე სიტყვაც. ეს ფრაზა შეიძლება ორნაირათ შეიცვალოს: ან გადავუმატოთ პირველს სიტყვას ხმოვანი ა, ე, ი. ვთქვათ ერთისა სიტყვით ან კიდევ პირველ სიტყვას ს სრულიათ გამოვაკლოთ და ვთქვათ: ერთი სიტყვით. რადა თქმა უნდა მეორე ფრაზა უფრო ლამაზია მოსასმენათ, რადგან ორი ს მაგივრათ ერთიღა ისმის. ფრაზას ჩემის აზრით ს რო გამოვაკლოთ, მაგალითათ, ვთქვათ ჩემი აზრით, უფრო ულამაზო იქნება ვიდრე რო ვთქვათ ჩემის აზრით. რათა? იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, აქ პირველი სიტყვა ხმოვან ასოთი თავდება და მეორე—ხმოვან ასოთივე იწყობა, ეს-კი ხშირათ არ არის ლამაზი, როცა ერთგვარი ასოები მოიყრის ხოლმე თავს ერთათ.

ერთი სიტყვით, ვეცადნეთ ყველგან სილამაზე ვეძიოთ, მაგრამ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა სიტყვა დავამახინჯოთ-მეთქი. მაგალითათ არის ისეთი ფრაზები, სადაც არც თანხმოვანის გამოკლება შეიძლება, არც რომელისამე ხმოვანის ჩამატება. აი ერთი იმისთანა ფრაზა მაგალით მივ-ლა. ამითი გავათავოთ, თორემ...

დიახ, გამოთქმას, მკაფიო, ლამაზ გამოთქმას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. არიან მსახიობნი, რომელთაც ხმის სიმდიდრე ჰქონდავს; თუ კარგი გამოთქმა არ იციან ხმა ჭყლაპავს სიტყვებს, ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, იმოდენას ჰყვირიან კითხვის და ლაპარაკის დროს, რომ სიტყვები არც-კი ისმის...

**გიორგი ჯაბადარი**

(დასასრული იქნება)

# ქართული სახიობა

**ბაქოს დრამატიულმა წრემ** (მე-5 წარმ.) კვირას, 18/X ბ-ნ ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით დასდგა ს. ჭანტურიშვილის „მორევში". პიესა ჩინებულად იყო დადგმული.

კოტე გრეხილაძეს როლს თვით ბ-ნი ვ. შალიკა-

*) როგორც წინა წერილები, ესეც ავტორის მართლწერით იბეჭდება. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი ასრულებდა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საღამოს უქეიფოთ ყოფილიყო, რაიც წარმოდგენის დაწყებამდე გვაუწყე, თავიდამ ბოლომდე დაკვირვებით, ზომიერის ტემპით, ჩაატარა როლი, თითქო უქეიფობაც საჭირო იყო მისთვის ამ როლში, განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. ქ-ნმა ქილარჯიშვილმა გვაჩვენა სრულქმნილი მარო, თუმცაღა ზოგიერთ შემთხვევაში მას საგრძნობლად ხელს უშლიდა შეუფერებელი, რომლის უცოდინარი და ძლიერი სიყვარულის გრძნობების ულაზათოდ გამომხატველი ტრიფონი—ბ-ნი გ. მათარაძე. კარგი ფოტინე იყო ქ-ნი წულუკიძისა და —გულჩინა ქ-ნი ნაკაშიძისა. ქ-ნი ჭუმბურიძე ზედ-გამოჭრილი ვასო იყო, თამაშობდა მოხდენილად. არა უშავდა ბ-ნ ბოხუასაც (მოჯამაგირე). კარგად იყო გამართული დეკორაციები,—შორიდან მუშების სიმღერაც. ბევრი ხალხი დაესწრო, როგორც ყოველთვის ამ სეზონში. დრამის შემდეგ ცოცხლად და მხიარულად ჩაატარეს ვოდ. „ბებრის საღერღელი". ბევრი აცინეს საზოგადოება შეწყობილის თამაშითა და (თუმცა უშინაარსო) ხუმრობა-ოხუნჯობით: ბ.ბ. აწყურელმა, მათარაძემ (ასე კარგად მათარაძეს ტრიფონი რომ შეესრულებინა, მეტად დავუმადლებდით). ქ-ნმა ქილარჯიშვილმა და ქ-ნმა წულუკიძისამ. დრამა „მორევი"-ს, ვფიქრობ „ბებრის საღერღელის" მიწებება არ შეეფერებოდა.

წარმოდგენა ღამის 12 ს. გათავდ.

მადლობა ეკუთვნის დრამ. კომიტეტს, რომ დარბაზში წესრიგის დამყარებას მხურვალედ ეკიდება.

გულისაბა

**დ. ბორჯომის** მჟავე წყლის თეატრში, კვირას, 18/X ქ. შ. წ. კ. საზ-ის ბ-ს განყოფ. სცენ. მოყვ. წრემ. დ. ძნელაძის რეჟისორობით, გამართა პირველი იაფ-ფასიანი სახალხო ქართული წარმოდგენა, რასაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის „არსენა" და ნ. გალუსტოვის „დუელი". კარგი იყო დ. ძნელაძე (არსენა), მხოლოდ ცოტა გრძნობა და ვაჟკაცური კილო აკლდა; ნინოს როლში გამოვიდა სრულიად ახალგაზრდა სცენის მოყვარე ლ. განუგრავა და, თუმცა პირველად თამაშობდა, როლი პირნათლად შეასრულა. სრული იმედია, თუ სცენას არ ჩამოშორდა, შემდეგში მეტად თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს პროვინციის სცენაზე, რადგან საამისოდ სასცენო ნიჭი, ხმა და გარეგნული სილამაზე ხელს უწყობს. ძველი ტიპიური კნ. სიდონია ამაყაძისა—თ. ხმალაძემ ჩინებულად ჩაატარა და მაყურებელნი აღტაცებაში მოიყვანა. სუსტობდა ივ. ბეჟიტაძე (გარსევანი); ბუნებრივი იორამი იყო პ. ხუციშვილი; არც ვ. ხოზბერაშვილს უშავდა რა (პეტრე). სუსტი და არა ჩვეულებრივი სირაჯი იყო ნ. ლოტუევი; თავიდან ბოლომდე სულ ღიმილით ჩაატარა შიშის ქარებში გახვეული, სოფლის წურბელას როლი და სირაჯთან შეხვედრის სცენას სრულიად დაუკარგა ელფერი. ს. მაისურაძე (თედო) უფრო საშუალო ინტელიგენტს ჰგავდა თვისი კილოთი, ვიდრე გლეხს. ტიპიური გლეხი იყო კოქოშვილი. ზემოდ ჩამოთვლილთ გარდა წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ქ-ნი დალაქიშვილისა; ბ.ბ. გ. ვაშაკიძე, ლ. ელიოზიშვილი, დ. მაჭარიშვილი, მ. კანდაუროვი, ბ. ბეთანელი და სხ. საერთოდ პიესამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვეულებრივ სცენიურ დეფექტებს და მხატვრული მხრის სისუსტეს, კარგად ჩაიარა და აუდიტორიაც კმაყოფილი დარჩა, ამ ძველის. მაგრამ ჯერ კიდევ შინაარსიანის პიესისა, რომელსაც ჩვენი მუშა ხალხი და საერთოდ დემოკრატია დიდის სიამოვნებით ესწრება ხოლმე.

როგორც აქ შემომჩივლეს, დ. ბორჯომის თვალსაჩინო რამდენიმე ინტელიგენტს არა სასურველად უცვნია ბორჯომში იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა, მონაწილეობის მიღებაზეც უარი განუცხადებიათ. მაგრამ უმრავლესობას მაინც დაუძლევია და პიესა დაუდგეს ხალხს. ნუ დაავიწყდებათ იაფ-ფასიან წარმოდგენების მოწინააღმდეგეებს, რომ დღევანდელი ჩვენი თეატრის მაყურებელს შეადგენს დემოკრატია, მშრომელი ხალხი და მაშასადამე ბორჯომშიც აუცილებლად საჭიროა ხშირად იდგმებოდეს ასეთი წარმოდგენები. ვინაიდან აქ მრავლადაა მუშა ხალხი და, ამიტომ ამასაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

ნიკო გურული

**ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტმა** ღვინობისთვის 4 და 18 ლექციები გამართა: პირველად „აკაკის დილა", რომელზედაც ხალხი ბლომად დაესწრო. სცენაზე იყო მგოსნის სურათი, სურო-ყვავილებით შემკული. როდესაც სიმებიანმა ორკესტრმა სამგლოვიარო ჰიმნი დაუკრა, ხალხი ფეხზე წამოდგა, შემდეგ ალ. წერეთელმა მცირე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სურათის მიმართ. ს. ხალხო სახ. უნ—ტის თავმჯ. ა. ა. გარსევანიშვილმა თავის ლექციაში აგვიწერა აკაკის ცხოვრება და მისი დაუფასებელი ღვაწლის მნიშვნელობა. პატივცემული ლექტორი ტაშით დააჯილდოვა საზოგადოებამ.

მეორე განყოფილებაში წაიკითხეს ლექსები მგოსნის მიმართ. ვ. რუხაძემ დიდ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი თავისი ორი ლექსით, აგრეთვე მოეწონათ ქ-ნ ჩარექოვის მიერ წაკითხული რუსულად თარგმნილი აკაკის ლექსი „ზღვა"... დასასრულ ორკესტრმა დაუკრა „აღზდეგ, გმირთ გმირო" და ჩაიკოვსკის მარში.

18/X ექ. გ. ბადრიძემ თავის ლექციაში: „რა არის ცოცხალი ორგანიზმი?" კარგად განმარტა აღებული საგანი. საუბრობდა მარტივი და გასაგები ენით. საზოგადოთ ამ ლექტორს ძალიან ეხერხება სამეცნიერო საგნებ ს გასაგებათ გადაცემა. მსმენელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

მეორე ლექცია იყო საქართველოს ისტორიიდამ ფრიად საგულისხმო თემაზე: „საქართველოს ერთობის მღალატებელი—სოლომონ ლეონიძე", მისი გარდაცვალების ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ლექტორმა ბ. ა. გარსევანიშვილმა შინაარსიან წინასიტყვაობის შემდეგ, დაწვრილებით განიხილა ს. ლეონიძის მრავალხნოვანი სამსახური სამშობლოს წინაშე და ობიექტიურად შეხედა მის დიად პიროვნებას. სამწუხაროდ,—სთქვა ლექტორმა: ლეონიძის უმაღლესი მისწრაფება გაუგებარი დარჩა მისივე თანამედროვე ქართველებისაგან და დღესაც ამ იშვიათი ენერგიის და ნიჭის მქონე ქართველის სახელი უმრავლესობისაგან დავიწყებულიაო. მაგრამ ლეონიძის იდეა „საქართველოს გაერთიანებაზე" კეთილი თესლივით დაითესა სამშობლო ნიადაგზე და ამ ჟამად ჩვენ უკვე ყველანი ვხედავთ მის ნორჩ ნაყოფს... მოვა მალე დრო, როცა ძილისაგან გაღვიძებული ქართველი უფრო ღირსეულად დააფასებს ლეონიძის თავგანწირულ მოღვაწეობას... დიახ, ჩვენთვის სამარადისო მოსაგონად დარჩა მთენილი „გზა უვალი, მისგან თელილი..." ო.

ლექციამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ხალხი, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო. . შემდეგ იქნება „ვაჟას" დილა... Z—ძე

**თბ. ხამუსიკო სასწავლებელში** 25/X გაიმართა მოწაფეთა კონცერტი, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღო ამავე სასწავლებელში სწავლა შესრულებულმა მ. შავერზაშვილის ასულმა და ინაშვილმა. მ. შავერზაშვილმა იმღერა ბოლერო და დუეტი (ინაშვილთან), განსაკუთრებით პირველი სიმღერით გამოიწვია საერთო აღტაცება. მომღერალი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. მომღერალს საამო და უკვე დამუშავებული ხმა აქვს. საზოგადოდ კონცერტმა კარგ შთაბეჭდილება მოახდინა. —ლი

**ხარფუხის საზ. კლუბში** 27/X მამასახლისთა საბჭოს თაოსნობით გაიმართა ილიას საზეიმო სალამო, რომელმაც ბლომა საზოგადოება მოიზიდა. გვირგვინყვავილებით შემკულ ილიას ალალმას ორის მხრით ჩამწკრივებოდენ ვარდ. მსახობნი, მწერალნი და მოღვაწენი, ფარდის აწევისას ორკესტრმა შეასრულა შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ილიას ხსოვნას. ილიას ალალმის წინაშე ლექსები წარმოსთქვეს ნ. ერისთავმა, ი. გრიშაშვილმა, ს. ფაშალიშვილმა (მამის მკვლელნი, შემდეგ ნომერში დაიბეჭდება), სამ. ლონლაძემ და არ. ფანცულიამ. სოფ. მგალობლიშვილმა საზ-ს გაუზიარა მოგონება ილიას შესახებ, რ-ცა საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა, ქართველმა მსახიობობმა — ვ. გუნიამ, ნ. ჯავახიშვილი და ალ. იმედაშვილმა მოხდენით წარმოადგინეს ილიას „კაცია ადამიანიდან" ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული 1 მოქ. ფოლევილი. სალამომ კარგი შდაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. საქებია ხარფ. კლუბ. მამასახლისთა ასეთი საქმიანობა, მაგრამ დიდებული კაცის ხსოვნისათვის რომ უფრო შინაარსიანი სალამო ეძღოვნათ სჯობდა. უნდა აღვნიშნოთ კი რომ ხარ. კლ. მამასახლისთა მაბჭომ ეს სალამო უცებ, დღე-ნახევარში მოაწყო, და წელს მხოლოდ მან აღნიშნა ილიას უკვდავი ხსოვნა, რისთვისაც დიდი მადლობა ეძღვნის. სო--ლი

**ხაბურთალოს აუდიტორიაში** კვირას, 25/X წარმოადგინეს ვოდ. „იდედის ჯერთი"; პიესა მშვენივრად იყო დადგმული, მხოლოდ შეუფერებელი იყო ქ-ნი მატარაძისა და ბ-ნი თუთარაძის შეუჩვეველი სიცილი. ვოდევილის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. ხალხს ძალიან მოეწონა ბ. ყინარმანიძის მიერ წაკითხული ლექსები. სხვათა შორის ბ. საგინაშვილმა თარზე მშვენივრად დაუკრა. დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღო ბ-მა ირეთელმაც, რომელმაც თავისი იუმორისტული სცენა იმას მოანდომა, რომ რეცენზიებს მხოლოდ პროფესიონალური მწერალი უნდა სწერდესო. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პატივცემულ ბ. ირეთელს და გვიკვირს, ამ ცხად ჭეშმარიტების დამტკიცებაზე რათ დაკარგა დრო. წესიერება თეატრში წინანდელზე მეტი იყო. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაბრუნდა შინ 11 ს. ლარაძე

# შარადა

უწყალოთ იმისი ცხოვრება
არავისაგან გვსმენია,
თუ ვინმემ ზევით ამოსვა,
წამს დაელევა დღენია,—
ჩამოაცალეთ მის სახელს
წინიდან ასო თქვენ წყვილი,—
ახლა მინდორში მონახეთ
გაზაფხულისა ყვავილი,
მის ორ-ასოვან სახელის
ჩვენ აწ მეორე გვჭირია,
რომ შესდგეს გამოცანისა
პირველ ნახევარ ძირია;
რუსულად რიცხვი მითხარით,
სამს რომ ნიშნავდეს მთელადა.—
ეს მიუმატეთ ზემორეს
შარადის შესაქმნელადა...

ჩიტა

# წვრილი ამბები

**თბილისელმა მხატვრებმა** თავისი ნახატების გამოფენა მოაწყეს ქობულაშვილის (არშაკუნისეულ) სახლებში, გრიბოედოვის ქ. ქართველ მხატვართაგან წარმოდგენილია: გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი და გ. ხმალაძე და აგრეთვე მოქანდაკე ი.

ნიკოლაძე. გამოფენა დაიწყო 27/X. შესვლის ფასი 15 კ.—30 კ.

◆ **ნაძალადევის თეატრში** კვირას 1/XI წარმოდგენილი იქნება „ორი გმირი“.

◆ **„საქართველოს მაჰმადიანები ანუ დიდებული მესხეთი“**, სამ. ფირცხალავას მიერ 25/X ესიკოვის ცირკში წაკითხული ლექცია, ფრიად შინაარსიანი გამოდგა, ისტორიულის ცნობებით მდიდარი და ქართველთა სადღეისო სულისკვეთების გამომხატველი სასურველია, ეს ლექცია ცალკე წიგნად გამოიცეს და რუსულადაც გადაითარგმნოს. შემოსავალი საქ. მოქ. საზ. სასარგებლოდ იყო დანიშნული, მაგრამ სამწუხაროდ ხალხი ნაკლებ დაესწრო, რაიც, სხვათა შორის, დიდ დანაკლ სად ჩაეთვლება ყველა იმას, ვინც ქართველ მაჰმადიანთ და ჩვენი სამშობლოს ამ კუთხის—მესხეთის ისტორია არ იცის.

◆ **ილიას საღამო**, თანახმად ხარფ. კლუბის გადაწყვეტილებისა, ყოველ წლიურად გაიმართება 27 ლვინობ.

◆ **ქუთაისის „ქართული დრამის“** ამხანაგობას უგანათლებულეს თ-დ გ. შერვაშიძისაგან ნება მოუვიდა წარმოადგინოს მისი ისტორიული პიესა „გიორგი მესამე“. ამხანაგობა მზადებას უკვე შეუდგა. ტეხნიკურსა და სამხატვრო მხარეს რეჟისურა უგანათლებულეს ავტორთან ერთად შეიმუშავებს.

◆ **ახალი ისტორიული პიესა** „ტახტის მემკვიდრე“, ვანო ბარველისა, „ქართული დრამის“ ამხანაგობის მიერ მოწონებული, მეფის მოადგილის კანცელარიაში გაიგზავნა ნებ რთვისათვის.

**საბურთალოს** სახალხო სცენის მოყვარეთა წრის არაჩვეულებრივმა საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა კვირას, 6/IX 14 წევრის მოთხოვნით წინანდელი კრების დადგენილებათა გასაბათილებლად, ვითომც არჩევნები უკანონოდ მომხდარიყოს, მიიღო ბ-ნ ირეთელის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია:

„ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ საზოგადო კრებამ, რომელიც მოხდა 6 სექტემბერს და დაამტკიცა რომ ის განცხადება, რომელიც წრის 14 წევრმა წარმოადგინა, ყოველივე საფუძველს მოკლებულია—და წინანდელი საზოგადო კრების დადგენილება არჩევნების შესახებ, თანახმად წესდების 15 მუხლისა, სრულიად კანონიერად მოხდა, დაადგინა: რადგან განცხადების ავტორები ხელმძღვანელობენ ქვენა აზრებით და ინტრიგას ეწევიან, რომ საზოგადო საქმეს ძირი გამოუთხარონ, დაჰგმოს მათი ასეთი საქციელი და თავის ღრმა გულის წყრომა გამოუცხადოს მათ“.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რ-რო! ამასთანავე გიგზავნით 5 მ. და 20 კ. ომისგან დაზარალებულ აჭარელ ქართველ მაჰმადიანების სასარგებლოდ, რომელიც შევაგროვეთ ყარაიაზში ქართველმა ახალგაზრდობამ ნადიმობის დროს შერეული ლაპარაკის გამო ზემოთ ხსენებულ მიზნ სათვის და გთხოვთ, მიღებისთანავე გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

**ჭიჭიკო**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


## ხარფუხის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

**ერთი კვირის პროგ 31 ღვინ. 1- გიორგ-დე**

**შაბათს** { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით,

**ორშაბ.** სინემატოგრაფი

**სამშაბ.** სიმებიანი ორკესტრი

**ოთხშაბ.** ქართული წარმოდგენა

**ხუთშაბ.** სიმებიანი ორკესტრი

**პარასკევს.** საზანდარი, სინემატოგრაფი

**შაბათი** { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით

**შესავალი ფასი**: მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.




## ტფ. ქართ ფილარ. საზ.

**სამუსიკო სკოლა, სლეპცოვის ქ. ზუბნიცკის სახ. № 4. მოწაფეთა მიღება** 10—2 ს. -მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. **სწავლის ფასი**: ფორტეპ. 70 მ. წელიწადში, სკრიპკა 75 მ., ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ სიმღერა 100 მ., თეორიის კლასები —15 მ. სწავლის ფასი ნახევარ წლობით წინდაწინ.

## ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და აბანა). თბილისი, მიხეილის პრ. № 5. ტელეფ. 13—14 (წ)


Типографія „Сорапань“ Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“